

შპს გლავსპირტპრომი
ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

განმარტებითი შენიშვნები..... 7

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასება	12
4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12
5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	Error! Bookmark not defined.
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
7. ფინანსური შემოსავალი	13
8. ძირითადი საშუალებები	13
9. სხვა მიმდინარე აქტივები	14
10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი	14
11. სავაჭრო მოთხოვნები	14
12. ფული და ფულის ექვივალენტები	14
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	15
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	15

**მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

	შენიშვნა	2018 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	1,851,558
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	5	(913,015)
საერთო მოგება		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,116,851)
სხვა შემოსავალები	7	182,032
მოგება დაბეგვრამდე		3,723
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		3,723
წლის სხვა სრული შემოსავალი		-
წლის სრული შემოსავალი		3,723

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,697,287	1,791,034
სხვა მიმდინარე აქტივები	9	1,597,036	1,650,837
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი	10	5,218,622	4,958,549
სავაჭრო მოთხოვნები	11	296,253	1,402,459
გადახდილი ავანსები		121,446	17,558
ფული და ფულის ექვივალენტები	12	227,558	76,148
სულ აქტივები		9,158,202	9,896,584
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		6,397,684	6,397,684
გადაფასების რეზერვი			-
გაუნაწილებელი მოგება		1,157,833	1,154,427
სულ კაპიტალი		7,555,517	7,552,111
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები	13	656,719	1,294,762
გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი		319,875	394,067
სავაჭრო ვალდებულებები	14	626,091	655,644
სულ ვალდებულებები		1,602,685	2,344,473
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,158,202	9,896,584

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	6,397,684	1,154,427	7,552,111
წმინდა მოგება	-	3,723	3,723
წლის სხვა სრული	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,397,684	1,157,833	7,555,517

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წლის მოგება დაბეგვრამდე:		3,723
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია		192,244
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სხვა დანახარჯები		
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		1,056,118
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		(260,073)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		(744,738)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		249,907
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(98,497)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		151,410
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-
გაცემული სესხის ძირის დაფარვა		-
გაცემული დივიდენდი		-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	12	76,148
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		151,410
31 დეკემბრის მდგომარეობით	13	227,558

შპს „ორისი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გლავსპირტპრომი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2003 წელს, საიდენტიფიკაციო კოდი - 205013199, იურიდიული და ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ლილოს დასახლება, N51.

2017 წლის დეკემბერში რეორგანიზაციის შედეგად, კომპანიამ შეირჩა შპს გეო-ალკო (ს/კ 216399154).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ალკოჰოლური სითხეების წარმოება და მათი რეალიზაცია.

კომპანიის დამფუძნებლები არიან: იაგო ხოლუაშვილი (25%), გია ხოლუაშვილი (25%) და გიორგი მღვდელაძე (50%)

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, საშუალოდ ჰყავდა დასაქმებული 27 და 18 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს), რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა სარეკომენდაციო მითითება, რომელიც მე-3 კატეგორიის საწარმოთათვის შეღავათს ითვალისწინებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი, თუმცა ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მცირე ფასს-ით მომზადებულ სრულ პაკეტს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(ბ) სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

(გ) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) შემოსავალი ალკოჰოლური სითხეების რეალიზაციიდან

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 1 იანვარს	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766	3.0701
გაცვლითი საშუალო კურსი 2018 წლის	2.5355	2.9913

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა	60-65
მანქანა დანადგარები	6-22
საოფისე აღჭურვილობა	5-63
სხვა	9-32

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული სარეალიზაციო სითხის წარმოებასა და მიწოდებასთან.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითად საშუალებებში განხორციელებული ინვესტიციების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასება

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა, გაცემული სესხების ანარიცხების განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოადგენს საკონიაკე სპირტისა და სხვადასხვა დაძველების კონიაკის რეალიზაციას.

5. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება გამოითვლება შემდეგი ფორმულით: საწყის მარაგებს + შეძენები - საბოლოო მარაგები.**6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

ხარჯის დასახელება	2018 წელი
	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	449,030
ცვეთა და ამორტიზაცია	192,244
საპროცენტო ხარჯი	153,794
ტრანსპორტირების ხარჯი	128,542
მივლინებისა და საერთო საწარმოო ხარჯი	126,989
იჯარის ხარჯი	5,085

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საკონსულტაციო ხარჯი	31,500
კომუნალური ხარჯი	29,668
სულ	1,116,851

7. ფინანსური და სხვა შემოსავალი

	2018 წელი
დასახელება	ლარი
შემოსავალი თანადაფინანსებიდან	133,586
მოგება საკურსო სხვაობიდან	48,446
სულ ფინანსური შემოსავალი	182,032

8. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვილ ობა	სხვა	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარ.	132,259	613,559	1,538,106	25,963	8,138	2,318,025
შეძენა	-	-	59,937	27,449	11,462	98,848
ჩამოწერა	-	-	(350)	-	-	(350)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	132,259	613,559	1,597,693	53,412	19,600	2,416,523
ცვეთა და გაუფასურება						
2018 წლის 1 იანვრის მდგ.	-	111,797	390,448	19,921	4,825	526,991
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
ცვეთა წლის მანძილზე	-	28,969	157,112	5,129	1,034	192,244

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	140,766	547,560	25,050	5,859	719,235
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 1 იანვრის მდგ.	132,259	501,762	1,147,658	6,042	3,313	1,791,034
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	132,259	472,793	1,050,133	28,362	13,741	1,697,288

9. სხვა მიმდინარე აქტივები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2018	01.01.2018
კაპიტალის შევსებაზე, გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი, პარტნიორების მიმართ	1,462,424	1,462,424
საგადასახადო აქტივი	134,612	188,412
სულ სხვა მიმდინარე აქტივი	1,597,036	1,650,837

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2018	01.01.2018
საქონელი	21,098	16,483
ნედლეული და მასალები	461,610	197,345
დაუმთავრებელი წარმოება	1,032,335	7,844
მზა პროდუქცია	3,694,069	4,736,908

11. სავაჭრო მოთხოვნები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2018	01.01.2018
გეოქაი შპს-ზე	24,316	-
სტრონგდრიკ	-	1,197,338
A+Co	41,755	-
სევერნაია სტოლტსა	6,424	100,298
ბტოროი ლიკერო ბოდოჩნი ზავოდ	73,339	-
ალკო იმპორტ ექსპორტ არმენია	74,945	72,582
თდ იმპულს	36,721	-
სხვა	38,753	32,241
სულ სავაჭრო მოთხოვნები	296,253	1,402,459

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული სალაროში	279	520
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	21,044	8,168
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	206,235	67,460
სულ	227,558	76,148

13. კომპანიას აქვს 2 მიმდინარე გრძელვადიანი სესხი: პირველი აღებულია 2014 წლის 1 დეკემბერს, 600,000 \$ (ექვსასი ათასი ამერიკული დოლარი), რომლის გადახდა გრაფიკის მიხედვით მოხდება 2021 წლის 1 დეკემბერს.

მეორე სესხი აღებულია 2017 წლის 14 სექტემბერს, 103,000 ლარი (ას სამი ათასი ლარი), მისი გადახდა გრაფიკის მიხედვით დაგეგმილია 2019 წლის 14 სექტემბერს.

14. სავაჭრო ვალდებულებები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2018	01.01.2018
მარანი	49,060	64,050
ჯეოსპირტპრომი	53,310	44,848
გეოქაი შარაბ	487,557	-
მირა	-	24,278
ჯეობას	-	152,340
რუსსია გბმპ	-	35,996
ვოლიმამონტ	-	298,411
სხვა	31,075	20,826
სულ სავაჭრო ვალდებულებები	621,002	640,749

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წელს კომპანიამ რთველის საწარმოებლად დამატებით აიღო 600,000 \$ ოდენობის სესხი.

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას არ აქვს.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 სექტემბერს.

შპს „გლავსპირტპრომი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)